

წელი ცვიტივილი

უზუსტოგანი წინადადებათა აგების თვალსაზრისით თანამედროვე ქართული პრესის ენაში

თანამედროვე ქართული ჟურნალ-გაზეთების ენაში საკმაოდ ხშირად ვხვდებით უზუსტობებს წინადადებათა აგების თვალსაზრისით. განვიხილავთ დამახასიათებელ შემთხვევებს წინადადებათა ტიპების მიხედვით.

მარტივი წინადადება

ზოგ ენაში, მაგალითად რუსულში, მარტივი წინადადებისათვის უცხო არ არის შემასმენლის გამოტოვება; ის კი არა, გარკვეულ შემთხვევებში უშემასმენლობა ნორმაცაა. ქართული წინადადება კი უშემასმენლოდ, თუ შეიძლება ასე ითქვას, სტრუქტურადარღვეული შესიტყვებაა. ზმნა არის, როგორც ამბობენ, ღერძი ქართული წინადადებისა.

თანამედროვე ქართული პრესის ენაში კი, ალბათ რუსული ენის გავლენით, ძალიან გახშირდა უშემასმენლო წინადადებათა ხმარების შემთხვევები, მაგალითად:

საქართველოს მწერალთა სსახლეში მოეწყო კ. ამირეჯიბის „დათა თუთაშხიას“ განხილვა. სხდომა გახსნა ლ. მრელაშვილმა... მოხსენებებისათვის სიტყვა რევაზ თვარაძეს („ლიტ. ხაჭ.“).

განსაკუთრებით ხშირად იყენებენ ასეთ წინადადებებს სათაურებად, ლოზუნგებად, სხვადასხვა თაოსნობისა თუ მოძრაობის აღსანიშნავად. მაგალითად:

ჩვენს მაღაზიებში ფართოდ არის დანერგილი ლენინგრაძელთა თაოსნობა — „ყველა გამყიდველი — საზოგადოებრივი წუნმღებელი!“ („თბილ.“).

სათაურში უშემასმენლობა უფრო ასატანი ჩანს. შეიმჩნევა ცდა, ფრაზა გახადონ უფრო ეკონომიური, ლაკონიური; მაგრამ, მიუხედავად ამისა, მოყვანილი წინადადების ბუნებრივი, ქართული წყობა ასეთი იქნებოდა: „... ყველა გამყიდველი **ვახდეს** საზოგადოებრივი წუნმდებელი!“, ან: „... **იქცეს** საზოგადოებრივ წუნმდებლად!“, ან: „... **უნდა იყოს** საზოგადოებრივი წუნმდებელი“, ან: „... საზოგადოებრივი **წუნმდებელია**“.

... ვ ა ჯ რ ო ბ ა — ს ა ნ ი მ უ შ ო , მ ო მ ს ა ხ უ რ ე ბ ა — ჩ ი ნ ე ბ უ ლ ი — ასეთია ჩვენი დევნი („თბილ.“).

აჯობებდა: **(დავნიერგოთ) სანიმუშო ვაჭრობა, ჩინებული მომსახურება** — ასეთია ჩვენი დევნი.

შემხვედრი გეგმების მიღებას წინ უძღოდა საწარმოს საამქროებსა და უბნებში წარმოების რეზერვების დათვლიერება, რომელიც მიმდინარეობდა ლოზუნგით: „**შეე მოქმედებთ ძიებას — ახალი გაქანება!**“ („თბილ.“).

აჯობებდა: „... შემოქმედებითს ძიებას **მიცვით** (ან **მიეცეს**) ახალი გაქანება!“.

პრესის ენაში განსაკუთრებით გავრცელდა წინადადებათა აღწერითი კონსტრუქციები: ზმნის დროის მარტივ ფორმას ცვლის აღწერითი, მარტივ შემასმენელს — შედგენილი, მოქმედებითი გვარის ზმნას — ვნებითი, განსაკუთრებით, აღწერითი ვნებითი, რომელიც „როგორც გრამატიკული, ისე სტილისტიკური თვალსაზრისით მიუღებელია“¹.

მოვიყვანთ რამდენიმე ნიმუშს:

იმავე კლასში იქნა ჩაწერილი მოსწავლეების მიერ ის, თუ რას აკეთებდნენ ისინი იმ მასწავლებლის გაკვეთილზე, რომელსაც ისინი დიდ პატივს არ სცემდნენ („სკ. და ცხოვ.“).

უნდა იყოს: იმავე კლასის მოსწავლეებმა **ჩაწერეს**, ან — **დაწერეს**...

რა იყო მასწავლებლის მიერ თქმული, რა კითხვა იყო დაყენებული, რას უპასუხებდნენ ამ კითხვაზე... („სკ. და ცხოვ.“).

უნდა იყოს: რა **თქვა** მასწავლებელმა, რა **კითხვა დასვა**...

მზობელთა კითხვარი შეიცავდა შემდეგ კითხვებს: ა) აქვს თუ არა მის ბავშვს დღის რეჟიმი და ხდება თუ არა მისი სისტემატური კონტროლი მშობლების მიერ... („სკ. და ცხოვ.“).

¹ ვ. თოფური, ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1965, გვ. 106.

უნდა იყოს: აქვს თუ არა ბავშვის დღის რეჟიმი და ამოწმებს თუ არა მას სისტემატურად მშობელი...

1 მარტს ერთსულოვნად მიღებულ იქნა წინადადება მომხდარიყო მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების გაერთიანება ერთ, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოდ („საქ. კომ.“).

აჯობებდა: 1 მარტს ერთსულოვნად მიიღეს წინადადება გაერთიანებულიყო მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები ერთ, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების, საბჭოდ.

ყურადღებას იქცევს ყურნალ-გაზეთების ენაში გამოვლენილი ერთი ტენდენცია: ცდილობენ ერთ მარტივ წინადადებად აკინძონ რამდენიმე წინადადებად სათქმელი; განსაკუთრებით ხშირად უვლიან გვერდს განსაზღვრებითს დამოკიდებულ წინადადებას, ივიწყებენ ზმნა-შემასმენელსაც და სანაცვლოდ მიჯრით ხმარობენ განსაზღვრებებს — უმეტესად ნათესაობით ბრუნვაში დასმულ არსებით სახელებსა და საწყისებს ან მიმღობებს. მაგალითად, ასე:

„განთიადის“ თვრამეტივე წარმომადგენელი რესპუბლიკაში ერთადერთი — საქართველოს განათლების სამინისტროს ფიგურული ციგურაობის სპეციალიზებული სპორტსკოლის აღსაზრდელია („ლელო“).

აჯობებდა: „განთიადის“ თვრამეტივე წარმომადგენელი არის აღსაზრდელი (ან: აღსაზრდელია) საქართველოს განათლების სამინისტროს ფიგურული სპეციალიზებული სპორტსკოლისა, რომელიც ერთადერთია რესპუბლიკაში.

განსაკუთრებით მიძიმება სტილი და ბუნდოვანდება აზრი, როცა ნათესაობით ბრუნვაში დასმულ (მართულ) განსაზღვრებას (კუთვნილების გადმომცემ შესიტყვებას) ემატება კიდევ ერთი განსაზღვრება, მიმღობით გამოხატული. მაგალითად:

დასავლეთ საქართველოს 20 რაიონის კოლმეურნეობის 25 მუშაკმა... ერთმანეთს გაუზიარა წლების მანძილზე დაგროვილი თავიანთი მუშაობის დადებითი გამოცდილება („ახ. ცხოვ.“).

მუშაობაა დაგროვილი თუ გამოცდილება? უნდა თქმულიყო: დასავლეთ საქართველოს 20 რაიონის კოლმეურნეობების 25 მუშაკმა... ერთმანეთს გაუზიარა თავიანთი მუშაობის დადებითი გამოცდილება, რომელიც წლების მანძილზე დაუგროვდათ.

დამთავრდა ქალთა საერთაშორისო დღის 8 მარტისადმი მიძღვნილი ნ. ბარათაშვილის სახელობის გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქალთა ტრადიციული სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული პირად-გუნდური პირველობა ჭადრაკსა და შაშვი ფაკულტეტებს შორის („გამარჯვ.“).

ეს წინადადება, ჯობდა, რამდენიმე წინადადებად დაგვეყო: დამთავრდა ნ. ბარათაშვილის სახელობის გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პირადგუნდური პირველობა ჭადრაკსა და შაშვი ფაკულტეტებს შორის. იგი გათვალისწინებული იყო ქალთა ტრადიციული სპარტაკიადის პროგრამით და მიძღვნა ქალთა საერთაშორისო დღეს — 8 მარტს (ან: ... იგი გათვალისწინებული იყო ქალთა საერთაშორისო დღის — 8 მარტისადმი მიძღვნილი ტრადიციული სპარტაკიადის პროგრამით).

გასულ თვეში გურჯაანში ჩატარდა მე-5 სპარტაკიადით გათვალისწინებული აღმოსავლეთის ზონალური პირველობა ქართულ ჭიდაობაში („გამარჯვ.“).

უნდა იყოს: გასულ თვეში გურჯაანში ჩატარდა აღმოსავლეთ საქართველოს ზონალური პირველობა ქართულ ჭიდაობაში. იგი გათვალისწინებული იყო მე-5 სპარტაკიადის პროგრამით.

მან გულისტკივლით აღნიშნა, რომ დასაბეჭდად მიღებული ახალგაზრდის ნაწარმოების გამოცემა ჭიანჭურდება („ლიტ. საქ.“).

აჯობებდა: მან გულისტკივლით აღნიშნა, რომ ჭიანჭურდება გამოცემა ახალგაზრდის ნაწარმოებისა, რომელიც უკვე მიიღეს (ან მიღებულია) დასაბეჭდად.

კონკურსი ორ სახეობაში სამ ტურად გაიმართება: საოპერო-საკონცერტოსა და კამერულში. ყოველ ტურში აუცილებელ გლინკას ნაწარმოებთა გარდა უნდა შესრულდეს საბჭოთა კომპოზიტორების ნაწარმოებებიც („კომ.“).

აუცილებელ გლინკას ნაწარმოებთა უხეირო სიტყვათშეერთებაა. უნდა თქმულიყო: გლინკას ნაწარმოებთა გარდა, რომელთა შესრულება აუცილებელია ყოველ ტურში, უნდა შესრულდეს საბჭოთა კომპოზიტორთა ნაწარმოებებიც.

მარტივი წინადადება ქართული ენისათვის ყველაზე უფრო ბუნებრივი კონსტრუქციაა, მაგრამ ვრცელი შინაარსის ერთი მარტივი

წინადადებით, მით უმეტეს, სახელური კონსტრუქციებით გადმოცემა, როგორც ვნახეთ, არ ხერხდება: თავს იყრის სემანტიკურად (ან სინტაქსურადაც) არასწორად დაკავშირებული სიტყვები და წინადადების შინაარსი ძნელად გასაგები ხდება.

სახელური (მიმღებობიანი) კონსტრუქციების სიჭარბე პრესის ენაში რუსი მკვლევარების მსჯელობის საგნად ქცეულა 20-იან წლებში. ერთნი (ა. მ. პეშკოვსკი, მაგალითად) მკაცრად ილაშქრებდნენ ამგვარი კონსტრუქციების წინააღმდეგ. მეორენი (გ. ო. ვინოკური, მაგალითად), მიმღებურ კონსტრუქციებს იწონებდნენ სამეცნიერო ლიტერატურისა და გაზეთის ენისათვის²...

სალიტერატურო ქართულისათვის ბუნებრივი და მისაღებია ისეთი მიმღებური კონსტრუქციები, რომლებიც განკერძობული განსაზღვრების როლში გამოდიან და რიგ შემთხვევაში განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებას ცვლიან. განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება, როგორც მიღებულია მკვლევართა მიერ, გვიან არის განვითარებული³, რომელიც წევრ-კავშირს წიგნური წარმოშობისად თვლიან. იგი „ხალხურ მეტყველებას არ ახასიათებს (როცა მას ხმარობენ, ჩვეულებრივ „რომა“-ს უმატებენ — რომელიცა რომა...“)⁴ ... ძველი ქართული ენის ძეგლებშივე (მაგალითად, „ოთხთავის“ რედაქციებში) ერთმანეთის მონაცვლედ გვხვდება განკერძობულგანსაზღვრებიანი (მიმღებური) და განსაზღვრებით დამოკიდებულწინადადებიანი კონსტრუქციები⁵. თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში ერთი და იმავე აზრის გადმოსაცემად თანაბარი უფლებით იხმარება რთული ქვეწყობილი და განკერძობულგანსაზღვრებიანი წინადადებები. უკანასკნელის შესახებ პროფ. ვ. თოფურია წერდა: იგი სტილისტიკურად თავისებურია, განსხვავებული, ეკონომიურია, საკითხავად ცოცხალი და საინტერესო, მაგრამ დასამახსოვრებლად ძნელია. მიუხედავად ამისა, ასეთი სტილის თხრობას საკმაო ადგილი უნდა დაეთმოს⁶.

2 Г. Я. Солганик, О языке газеты, М., 1968, гл. 6—8, 10—11.

3 К. Дондуа. Из истории развития придаточного предложения... Статьи по общему и кавказскому языкознанию, Л., 1975, гл. 193—207.

4 არნ ჩიქობავა, ქანურის გრამატიკული ანალიზი, თბ., 1936, გვ. 184.

5 დ. ჩხუბიანი შვილი, ზოგიერთი სინტაქსური კონსტრუქციის მონაცვლობისათვის ძველ ქართულში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, II, თბ., 1961, გვ. 192—193.

6 ვ. თოფურია, ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1965, გვ. 105.

მაგალითად:

თითქოს ვხედავდი კულაკებისა და კონტრრევოლუციონერთა ხელით განგმირული ვაზისუბნის ბოლშევიკური უჯრედის ხელმძღვანელებს („სოფლ. ცხოვრ.“).

აჯობებდა: თითქოს ვხედავდი ვაზისუბნის ბოლშევიკური უჯრედის ხელმძღვანელებს, განგმირულთ კულაკებისა და კონტრრევოლუციონერების ხელით.

ვის შეიძლება დაავიწყდეს ექსპრესიულობით აღბეჭდილი ა. კალანდაძის ლექსი „ბეთანიის გზაზე“ („ლიტ. საქ.“).

აჯობებდა: ვის შეიძლება დაავიწყდეს ა. კალანდაძის ლექსი „ბეთანიის გზაზე“, აღბეჭდილი დიდი ექსპრესიულობით.

განკერძოებული განსაზღვრება ზოგჯერ შემასმენელს უკავშირდება, რაიმე სემანტიკურ ნიუანსს მატებს მას და თითქოს გარემოების როლში გამოდის. ასეთ განკერძოებულგანსაზღვრებიან მარტივ წინადადებას ვერ შევცვლით განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებით; იგი უფრო გარემოებითი, განსაკუთრებით, დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადებით შეიცვლება. ამგვარ კონსტრუქციებს ხშირად დაუფიქრებლად იყენებენ პრესის ენაში და არ იცავენ აუცილებელ პუნქტუაციას: მიმღეობური კონსტრუქცია — განკერძოებული განსაზღვრება — უნდა გამოიყოს მძიმეებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, კვლავ შეიქმნება აზრობრივად შეუკავშირებელი წყვილები.

ქვემოთ მოყვანილ წინადადებებში ხაზგასმული შესიტყვებები მძიმეებით უნდა გამოიყოს წინადადების სხვა წევრებისაგან.

... ყველაფერი მიატოვა და შვიდ ათეულს მიტანებულმა 25 წლის უკრაინელი ქალი ითხოვა („თბილ.“).

... თბილისი არც ბებერი ნარიყალაა, რომელსაც ტურისტები ყველა რაკურსით უღებენ სურათს, რომ შინ მიბრუნებულემა შემდგომ ტკილად მოიგონონ ჩვენული ეგზოტიკა... („თბილ.“).

ვხვდებით კონსტრუქციათა ასეთ მონაცვლეობასაც: დაქვემდებარებულ წინადადებას ცვლის მოქმედებით ან თანდებულის მიცემით ბრუნვებში დასმული საწყისი (რომელიც პირმიუმართავი დამატების როლს ასრულებს მარტივ წინადადებაში), მაგალითად:

პირუტყვის სადგომებში ხანძრების უმეტესობა მომხდარია პირუტყვის უხეში საკვების ნარჩენების სადგომებთან ახლოს გა-

ნადგურების მიზნით დანთებული ღია ცეცხლის უმეტვალყუროდ მიტოვებით... („გამარჯვ.“).

ეს წინადადება საერთოდ გაუმართავია. ამის ერთ-ერთი მიზეზი კი ის არის, რომ მარტივ წინადადებადაა აგებული მოსალოდნელი ქვეწყობილი წინადადება.

უნდა ყოფილიყო: პირუტყვის სადგომებში ხანძარს უმეტესად ის იწვევს, რომ უმეტვალყუროდ ტოვებენ უხეში საკვების ნარჩენების გასანადგურებლად სადგომების ახლოს დანთებულ ღია ცეცხლს.

ეს ზიანი გამოიხატება სუსტი მეტოქის რქების დამტვრევაში, მუცლის ან სხეულის სხვა რომელიმე ნაწილის გაგლეჯაში („საქ. ბუნ.“).

უნდა ყოფილიყო: ზიანი გამოიხატება იმაში, რომ სუსტ მეტოქეს უმტვრევენ რქებს, უგლეჯენ (ან — უფატრავენ) მუცელს.

მასწავლებლისაგან საჭირო კონსულტაციის მიცემით და ინსტრუქტაჟით მოსწავლეებს დაევალო... („ისგ სკოლაში“).

უნდა ყოფილიყო: მას შემდეგ, რაც მასწავლებლისაგან მიიღეს საჭირო (სათანადო) კონსულტაცია [და ინსტრუქტაჟი], მოსწავლეებს დაევალო...

ან: მას შემდეგ, რაც მისცა (გაუწია) მოსწავლეებს სათანადო კონსულტაცია [და ინსტრუქტაჟი], მასწავლებელმა დაავალა მათ...

ან: სათანადო კონსულტაციის [ა და ინსტრუქტაჟის] გაწევს (მიცემის) შემდეგ მასწავლებელმა დაავალა მოსწავლეებს...

მოქმ. ბრუნვაში დასმული საწყისი (პირმიუმართავი დამატების როლში) ხშირად კალკის შთაბეჭდილებას ტოვებს. მაგალითად:

1970 წლის 28 აგვისტოს... მიეჭრა დედას და... მიაყენა სხეულის მსუბუქი ხარისხის (მაგრამ ჯანმრთელობის მოშლით) დაზიანება („გამარჯვ. გზა“). დამნაშავეებს გამოუცხადა სასტიკი საყვედური ადგილობრივ სატირულ-იუმორისტულ გაზეთში გამოქვეყნებით („ჭიათ. მად.“).

ორიოდე თვის წინ ქუთაისშიც გაიხსნა შესანიშნავი აუზი გათბობით („ლელი“).

საწყისით ზმნის პირიანი ფორმის შეცვლის წინააღმდეგ გაილაშქრა 50-იან წლებში აკად. ა. შანიძემ. 1952 წლის მაისში გაზ. „კომუნისტში“ დაიბეჭდა მისი წერილი: „ქართული სალიტერატურო ენის სიწმინდისათვის“. წერილში გამახვილებულია ყურადღება

საწყისით ზმნის პირიანი ფორმის შეცვლის სწორედ ისეთ შემთხვევებზე, რომლებიც გამოწვეულია არასწორი თარგმანით. მაგალითად: „ჩვენ მოვითხოვთ ხუთ დიდ სახელმწიფოს — ამერიკის შეერთებულ შტატებს, საბჭოთა კავშირს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას, დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთს შორის მშვიდობის პაქტის დიდებას“, — ასე ყოფილა თარგმნილი ერთ-ერთი დოკუმენტი. როგორც აკად. ა. შანიძე აღნიშნავს, „უბირო ზმნა“, „დადება“, პირიანად უნდა გადაკეთებულიყო. გვექნებოდა: „ჩვენ მოვითხოვთ დიდოს მშვიდობის პაქტი ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის...“

როგორც იმავე წერილში აღნიშნავს ა. შანიძე, საწყისის გამოყენება პირიანი ფორმის ნაცვლად იწვევს ნათესაობითი ბრუნვის ფორმების თავმოყრასაც, რაც აზრს აბუნდოვნებს. მაგალითად:

ცხადი იყო, რომ „არარატი“ თავიდანვე შეეცდებოდა მეტოქის ფორმის ამ დაკარგვის გამოყენებას („ლელო“).

ალბათ, უნდა ყოფილიყო: ცხადი იყო, რომ „არარატი“ თავიდანვე შეეცდებოდა, გამოყენებინა მეტოქის მიერ ფორმის დაკარგვა, ან: ... შეეცდებოდა, გამოყენებინა ის სახარბიელო შემთხვევა, რომ მეტოქემ დაკარგა ფორმა.

როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, საწყისის გამოყენება ზმნის პირიანი ფორმის ნაცვლად ძალიან შორსაა წასული.

უბრალოდამატებიანი კონსტრუქციებით ხშირად ირღვევა გადმოსაცემი აზრის სიზუსტე. მაგალითად:

გფიქრობთ, რომ ძეგლის აგებით ქალაქ გორს შეემატა კიდევ ერთი მეტად ლამაზი შტრიხი („გამარჯვ.“).

თუ მაინცდამაინც, „ლამაზი შტრიხი“ ძეგლმა შემატა გორს...

...სტუმარი გამოუსეირნებია, რომ დაატკბოს მიდამოს სიმშვენიერის ხილვით („თბილ.“).

მშვენიერი მიდამოთი უნდა დატკბეს სტუმარი და არა — „სიმშვენიერის ხილვით“.

ადამიანური მომხიბვლელობა, უბრალოება და სისადავე მუდამ თანახმავს ამ როლს დოდო ჭიჭინაძის შესრულებით („საბჭ. ქალი“).

თუ დოდო ჭიჭინაძეს ახლავს ამ როლში მომხიბვლელობა?

შერწყმული წინადადება

შერწყმული წინადადების კონსტრუქციაში დაშვებული შეცდომები ძირითადად მომდინარეობს ერთგვაროვანი წევრების ცნების არასწორი გაგებისაგან.

ერთგვაროვანი წევრები ერთმანეთს უნდა შეესაბამებოდნენ შინაარსობრივად. წინააღმდეგ შემთხვევაში, წევრები ვერ იქნებიან ერთგვაროვანი და, მაშასადამე, წინადადებაც ვერ იქნება შერწყმული⁷.

განვიხილავთ რამდენიმე დამახასიათებელ შემთხვევას:

ერთგვაროვან წევრებად არის ქცეული სხვადასხვა ჯგუფის არსებითი სახელები, რომლებიც სემანტიკურად ან ფარავენ, ან გამოირიცხავენ ერთმანეთს. მაგალითად:

ეს საშუალო ხნოვანების კაცი და ოსტატი ინჟინერ ბეჟან ჩხეიძეს მხარში შესდგომია დიდ საქმეებში მომხმარებელი („კომ.“).

ესენი არიან ფაბრიკა-ქარხნების, შანტების, მშენებლობების, ტრანსპორტის, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების გამირები და მშრომელეები („კომ.“).

ჩვენი კინოლოკუმენტალისტები, კინომცოდნეები და კრიტიკოსები არ გვანებვირებენ მწვავე პოლიტიკური უღერადობის სიუჟეტებსა და თემებზე გამოკვლევების შექმნით, მაღალი ზნეობრივი თვისებების გამომხატველი ხასიათებით, სახეებით, წერილებით(!) და, მით უმეტეს წიგნებით, რომლებიც მნიშვნელოვან პრობლემათიკას ემსახურებიან („თბილ.“).

ერთმანეთის გვერდითაა მოქცეული კონკრეტული და აბსტრაქტული არსებითი სახელები. ასეთი შერწყმა მიუღებელია. ასევეა:

ყოველწლიურად ვითარდება და რენტაბელური ხდება ვაზის სანერგე, ფილოქსერაგამძლე ვაზის სადედე, ერთწლიანი კულტურები და საზოგადოებრივი მეცხოველეობა („ახ. ცხოვ.“).

განა ერთგვარად შეიძლება ვილაპარაკოთ ამა თუ იმ დარგის (ამ შემთხვევაში — მეცხოველეობის), კულტურებისა და სანერგის (!) რენტაბელობაზე?

ბრაკონიერებისა და თევზჭერის წესების დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების მიზნით მიმდინარე წლის 20 მაისიდან 20 ივლი-

⁷ ასეთივე მდგომარეობაა ერთგვაროვანი წევრების გამოყენებისას, როგორც ჩანს, რუსული პრესის ენაშიც. ამიტომ, რომ ეს საკითხი რუს მკვლევართა მსჯელობის საგანიც ხდება. იხ. Работа над словом, М., 1971, გვ. 167—173.

სამდე რესპუბლიკაში გამოცხადებულია თევზის საზაფხულო დაცვის ორთვიური („ახ. ცხოვრ.“).

ბრაკონიერის გვერდით შეიძლება გვეხმარა მხოლოდ დამრღვევი (თევზჭერის წესებისა). უნდა ყოფილიყო: ბრაკონიერებისა და თევზჭერის წესების დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების მიზნით...

ან: ბრაკონიერობისა და თევზჭერის წესების დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების მიზნით...

... მისი (ერთ-ერთი ბურჟუაზიული თეორიის, ნ. ც.) მიმდევრები რაღაც „ნიეტრალურს“ ეძიებენ, რომელიც გამოსადეგი იქნება როგორც სოციალისტების, ისე ბურჟუაზიული სასკოლო სისტემისათვის („სკ. და ცხოვ.“).

თუ ერთი მსაზღვრელი ატრიბუტულია, მეორეც ატრიბუტული უნდა იყოს, მით უმეტეს, რომ გვაქვს კავშირი როგორც — ისე! მაშ, უნდა ყოფილიყო: ... გამოსადეგი იქნება როგორც სოციალისტური, ისე ბურჟუაზიული სასკოლო სისტემისათვის. თუმცა, „სასკოლო სისტემასთან“ ერთი უხერხულია მსაზღვრელად და მეორეც. ჯობდა: ... როგორც სოციალისტური, ისე ბურჟუაზიული ქვეყნების სასკოლო სისტემისათვის.

არის შემთხვევები, როცა ერთგვაროვან დამატებებს ერთი განსაზღვრება აქვს, თუმცა თითოეული მათგანი ცალკე განსაზღვრებას მოითხოვს. მაგალითად:

როცა თერჯოლის მექანიკური ქარხნის ზეინკლის ო. მამრიკაშვილის გამოსვლას ვუსმენდით, ვრწმუნდებოდით მისი მუშური სინდისის სიწმინდე-პირდაპირობასა და ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობაში („კომ.“).

ამ წყობის შედეგად გამოდის, რომ სინდისია შეურიგებელი ნაკლოვანებებისადმი.

არც სინდისის პირდაპირობაა სწორი გამოთქმა, რაც გამოიწვია ხელოვნურმა კომპოზიტმა: „სიწმინდე-პირდაპირობამ“. შეიძლება ასე თქმულიყო:

როცა... ო. მამრიკაშვილის გამოსვლას ვუსმენდით, ვრწმუნდებოდით მის პირდაპირობასა და ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობაში; მისი მუშური სინდისის სიწმინდეში.

ერთგვაროვანი წევრების გამოყენება წინადადებას მატებს ექსპრესიულობას, მაგრამ, როგორც კი ექსპრესიულობა თვითმიზნად იქცევა, როგორც კი ერთგვაროვანი წევრები ისე დახვავდება, რომ ანგარიში არ ეწევა თითოეული წევრის შინაარსს, ვიღებთ შინაარსობრივად დაუკავშირებელ, უხერხულ გამოთქმებს.

მაგალითად:

ეს ანიჭებს ამ წიგნს თავისებურ მომხიბვლელობას და, ამავე დროს, მთელ წიგნს თავისი ეპოქის დაღს, მის სურნელს, მის კოლორიტს აძლევს („ლიტ. ხაჭ.“).

პირველ დამატებას თავისი შემასმენელი სჭირდება — დაღს აჩნევს...

ხშირად ანგარიში ეწევა შემასმენლის შინაარსობრივ, ლოგიკურ კავშირს მხოლოდ უახლოეს დამატებასთან (ან ქვემდებარესთან).

მაგალითად: ... თითქოს ირგვლივ ხალხი არც არსებობს, გინებას, უწყობურ ფრაზებს ისვრის... („თბილ.“).

გინებას ისვრის შეუძლებელი გამოთქმაა.

შინაარსიანმა ლექციებმა დიდი კმაყოფილება და შთაბეჭდილება დატოვა მოსწავლეებსა და ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებლებში („გამარჯვ.“).

შთაბეჭდილება დატოვა (მასწავლებლებზე), მაგრამ კმაყოფილება გამოიწვია (მასწავლებლებში).

საკმაო ავტორიტეტი და პატივისცემა მოიპოვა („ხაჭ-ავიტ.“).

ავტორიტეტი მოიპოვა, მაგრამ: პატივისცემა დაიმსახურა.

ამ ბოლო წლებში ფართოდ განვითარდა ტურიზმი და ექსკურსიები... („კომ.“).

ტურიზმი შეიძლება განვითარდეს, მაგრამ ექსკურსიები — მომრავლდეს, გახშირდეს.

უფრო მოულოდნელი იყო თითქოს ისეთი შემთხვევები, როცა შემასმენელი შინაარსობრივად მხოლოდ პირველ (მისგან დაშორებულ) დამატებას შეესაბამება. მაგალითად:

თითქმის ყველა ლოზუნგი და სახვითი ხელოვნების ნამუშევრები, დერეფნები თუ კლას-კაბინეტები მოსწავლეების მიერაა შესრულებული („განთ.“ ვანი).

ლოზუნგი (დაწერილი და მხატვრულად გაფორმებული) ან სახვითი ხელოვნების ნიმუში, და არა — ნამუშევარი(!) შეიძლება შესრულებული იყოს მოსწავლეების მიერ, მაგრამ დერეფნებისა და კლას-კაბინეტების შესრულება შესაძლებელია?

შრომის საშუალებებსა და შრომის შედეგს შორის ესოდენ საოცარი სხვაობის მიღწევისათვის საქართველოს მწვრთნელ-მოსწავლებელთა მრავალრიცხოვანი კოლექტივი, ჩვენი ახალგაზრდობა განსაკუთრებულ ყურადღებას და დახმარებას იმსახურებენ („ლელა“).

ჩვეულებრივი გამოთქმებია: **ყურადღებას იმსახურებენ, მაგრამ: დახმარებას საჭიროებენ!**

ბრიგადის წევრებმა განსაკუთრებით გულმოდგინედ იმუშავეს ვაზის მწვანე ოპერაციების და შაბიაშინის ხსნარის ჩატარებაში... („ლენ. გზით“).

ტრაფარეტული გამოთქმაა „მწვანე ოპერაციების ჩატარება“, მაგრამ რას ნიშნავს „შაბიაშინის ხსნარის ჩატარება“? (თანაც: იმუშავეს ჩასატარებლად ან ჩატარებისათვის და არა: იმუშავეს ჩატარებაში).

ყოველგვარი კომენტარების გარეშე(!) შეიძლება ითქვას, რომ ცეკვაში არის ჩაქსოვილი მშობელი ხალხის ბრწყინვალე საგანძური და სიყვარული („გამარჯვ. დროშა“).

რას ნიშნავს „საგანძურის ჩაქსოვა“?

... საბასუხო სიტყვებითა და ვალდებულებებით გამოვინდინენ გულნარა აბრამიშვილი (საჩხერე), ნარგიზ ცნობილიძე (ტყიბული)... და სხვები („ახ. ცხოვრ.“).

ჯობდა, მარტივ წინადადებებად დაგვეშალა: ... საბასუხო სიტყვებით გამოვიდინენ გულნარა აბრამიშვილი... და სხვები. მათ აიღეს ახალი ვალდებულებანი.

ექსპრესიულობას ეწირება წინადადების შინაარსი ერთგვაროვანი განსაზღვრებებით ან ვითარების გარემოებებით მეტისმეტად გატაცების დროსაც.

დადწყვეტილია ახალი ტყეები გაშენდეს ისეთი მცენარეებით, რომლებიც უფრო სრულად შეესაბამებიან ადამიანის დეკორატიულ და ესთეტიკურ გემოვნებას („ახ. ცხოვრ.“).

დეკორატიული გემოვნება წარმოუდგენელი გამოთქმაა.

ეს აღწერა უხარისხო და ფორმალურ ხასიათს ატარებს და („გამარჯვ. დროშა“).

„უხარისხო (უფრო სწორად — დაბალხარისხიანი) ხასიათი“ არ შეიძლება ითქვას. მას ზმნა სჭირდება: ეს აღწერა უხარისხო იყო და ფორმალურ ხასიათს ატარებდა.

სამართელომ... მიიღო... რამდენიმე მანქანა. ისინი მოუვლელად და უპატრონოდ ა მიტოვებული („განთ.“, ვანი).

მოუვლელად მიტოვებული შეუძლებელი გამოთქმაა. წინადადება ასე უნდა გასწორდეს: ... ისინი მოუვლელია და უპატრონოდაა მიტოვებული.

ერთგვაროვანი წევრები ერთმანეთს უნდა შეეწყობოდნენ არა მარტო. შინაარსობრივად, არამედ გრამატიკულადაც. ამიტომ არასწორია ისეთი კონსტრუქციები, რომლებშიც:

1. ერთგვაროვანი შემასმენლები წარმოდგენილია სხვადასხვა რიცხვის, დროის ან გვარის ფორმით, მაგალითად:

ხორბლეულის ნათესები თანდათან იცვლის ფერს და სიმწიფეში შედიან... („ახ. ცხოვრ.“).

უნდა იყოს: ხორბლეულის ნათესები თანდათან იცვლის ფერს და სიმწიფეში შედის.

... მადლობა გამოეცხადა და ფასიანი საჩუქრები მიეცათ იმ მოსწავლეებს, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი („ახ. ცხოვრ.“).

პირველი შემასმენელიც მრავლობით რიცხვში უნდა იყოს.

... საჭიროა შედგეს გრამატიკულ სავარჯიშოთა კრებულები ისე, რომ ხელს უწყობდნენ სამეცხველო პრაქტიკის(?) განვითარებას და ითვისების წინებდეს ქართული ენის სპეციფიკას („ახ. გან.“).

ამ წინადადებაში, გარდა იმისა, რომ ერთგვაროვან შემასმენელთა რიცხვი განსხვავებულია, გამოტოვებულია ქვემდებარეც; არ არის დაცული ლოგიკური თანამიმდევრობაც. უნდა იყოს: საჭიროა შედგეს გრამატიკულ სავარჯიშოთა კრებულები ისე, რომ ისინი ითვა-

ლისწინებდნენ ქართული ენის სპეციფიკას და ხელს უწყობდნენ მეტყველების კულტურის განვითარებას.

ჩვენ დიდი აღმზრდელობითი მუშაობა გვმართებს, რათა ე. წ. უბრალო მსმენლებმა შეიყვარონ დიდი მუსიკა — ბახისა და ბეთჰოვენის, ჩაიკოვსკისა და მუსორგსკის, მოცარტისა და ვაგნერის. დაინტერესდეს თანამედროვე ოსტატებისა და, რასაკვირველია, ქართველი საბჭოთა კომპოზიტორების შემოქმედებით („საბჭ. ხელ.“).

მრავლობით რიცხვში უნდა იყოს მეორე შემასმენელიც. ქვემდებარე ერთია — მსმენელი.

თითოეული კოლმეურნეობის გამგეობის ყურადღება იქითკენ უნდა იქნას მიმართული, რომ მოწესრიგდეს საფინანსო მდგომარეობა, გაადილოს კოლმეურნეობის ფულადი შემოსავალი („ახ. ცხოვრ.“).

რაკი შემასმენლები სხვადასხვა გვარის ზმნითაა გამოხატული, თითოეულს თავისი ქვემდებარე უნდა ჰქონდეს, თორემ ვიღებთ გაუმართავ თანწყობას. უფრო გამართული იქნებოდა წინადადების ასეთი კონსტრუქცია: თითოეული კოლმეურნეობის გამგეობის ყურადღება იქითკენ უნდა იქნეს მიმართული, რომ **მოაწესრიგოს** საფინანსო მდგომარეობა, **გაადილოს** კოლმეურნეობის ფულადი შემოსავალი.

2. ერთგვაროვანი წევრები სხვადასხვა ბრუნვაშია:

... ისიც უთუოდ გამოწვეულია საწოლის ზამბარის არამყარობითა და ნაადრევი მოცვეთის გამო... („საქ. ქალი“).

სუბიექტური მიდგომისა და მცდარი მსჯელობიდან დაზღვეული არავინ არის... („საბჭ. ხელ.“).

უნდა იყოს: **მსჯელობისაგან (გან-თანდებულებიანი ნათესაობითი და არა — მოქმედებითი).**

ერთგვაროვან წევრებადაა ხელოვნურად ქცეული სხვადასხვა ბრუნვაში და სხვადასხვა წევრის მიერ მართული სახელები:

დაიწერა შრომის თემაზე და ყრილობისადმი მიძღვნილი მაღალმხატვრული ნაწარმოებები („კომ.“).

ერთი შესიტყვებაა: **ნაწარმოები შრომის თემაზე, მეორე: ყრილობისადმი მიძღვნილი (ნაწარმოებები).**

წინადადება შეიძლება ასე ავაგოთ: დაიწერა მაღალმხატვრული ნაწარმოებები, რომლებიც ეძღვნება (ან მიეძღვნა) ყრილობას და

[რომლებიც] ასახვენ შრომის თემას. ან შრომის თემაზე შეიქმნა მა-
ლალმხატვრული ნაწარმოებები, რომლებიც მიეძღვნა ყრილობას.

3. ერთგვაროვან შემასმენლებად სხვადასხვა ზმნაა გამოყენე-
ბული: ერთი — მოქმედებითი, მეორე — ვნებითი გვირისა; ერთი —
სუბიექტური, მეორე — ობიექტური წყობისა და ა. შ., ე. ი. ზმნები,
რომლებიც სუბიექტსა და ობიექტს სხვადასხვა ბრუნვაში მოითხო-
ვენ. ჩვეულებრივ, სუბიექტი თუ ობიექტი ანგარიშს უწევენ უახ-
ლოეს შემასმენელს, ე. ი. იმ შემასმენელს, რომელთანაც არიან
დაკავშირებული ინტონაციურად და ვილებთ ასეთ წინადადებებს:

ამ საკითხზე 1971 წელს მივმართეთ და ჩამოვიყვანეთ ქ. ქუ-
თაისის სარაიონთაშორისო თევზდაცვის ინსპექცია... („ახ. ცხოვრ.“).

...სკოლაში ტოვებენ ყველაზე ნიჭიერ, ფიზიკურად განვითარებულ ბავ-
შეებს, რომლებსაც უყვართ და გრძნობენ ქორეოგრაფიას,
მუსიკას... („თბილ.“).

ზოგჯერ პირველი შემასმენელიც მართავს ობიექტს ბრუნვაში.
მაგალითად:

უნდა გამოგვეშვა და რეალიზაცია გვექნა 20.500 მანეთის
სამრეწველო პროდუქცია („ახ. ცხოვრ.“).

ზმნა-შემასმენელს არ უნდა დაუუკარგოთ მის მიერ მართული
სახელი (თითოეულმა ზმნა-შემასმენელმა ცალკე კონსტრუქცია უნ-
და შექმნას). ყველა ჩამოთვლილი წინადადება (რიგის მიხედვით)
ასე უნდა გსწორდეს:

1. ამ საკითხზე 1971 წელს მივმართეთ ქ. ქუთაისის სარაიონ-
თაშორისო თევზდაცვის ინსპექციას და ჩამოვიყვანეთ კიდეც მისი
წარმომადგენელი, ინსპექტორი (ინსპექციის ჩამოყვანა არ შეიძ-
ლება!).

2. ...სკოლაში ტოვებენ ყველაზე ნიჭიერ, ფიზიკურად განვი-
თარებულ ბავშვებს, რომლებსაც უყვართ ქორეოგრაფია, მუსიკა
და გრძნობენ მათ (თუმცა, ეს წინადადება სტილისტიკურად მაინც
გაუმართავი რჩება: „გრძნობენ ქორეოგრაფიას თუ მუსიკას“ —
გაუმართავი გამოთქმაა. უკეთესია: **ესმით მუსიკა**).

3. უნდა გამოგვეშვა 20.600 მანეთის სამრეწველო პროდუქცია
და რეალიზაცია გვეყო მისთვის.

რ თ უ ლ ი წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა

თუ, ერთი მხრივ, შეიმჩნევა ტენდენცია, მარტივ წინადადებად
აიკინძოს სათქმელი, მეორე მხრივ, ისეთი შემთხვევებიც გვაქვს,

როცა დაქვემდებარებული წინადადება გამოიყენება მოსალოდნელი და ბუნებრივი მარტივის ნაცვლად. მოვიყვანთ რამდენიმე დამახასიათებელ შემთხვევას:

1. ცნობილია, რომ განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების წევრ-კავშირი **რომელიც** უშუალოდ უნდა მოსდევდეს მისამართ სიტყვას (ანდა დაშორებულ მისამართ სიტყვას უნდა ახლდეს ჩვენებითი ნაცვალსახელი). თუ მათ დაშორიშორებას თავიდან ვერ ვიცილებთ, ჯობს, წინადადება დავშალოთ მარტივ შემადგენლებად. მიუღებელია წინადადების ასეთი კონსტრუქცია:

რიგაში დამთავრდა სსრ კავშირის ჩემპიონატი კლასიკურ ჭიდაობაში, რომელმაც მონაწილეთა სარეკორდო რაოდენობა მიიზიდა — სამასამდე ფაზანი („სპ. და ცხოვ.“).

უმჯობესი იყო ასეთი კონსტრუქცია: რიგაში დამთავრდა სსრ კავშირის ჩემპიონატი კლასიკურ ჭიდაობაში. ჩემპიონატმა მონაწილეთა სარეკორდო რაოდენობა მიიზიდა...

თბილისის სამხატვრო აკადემიიდან ნ. ჯორჯაძე პატრიოტი გოგონას ნაღველა კურჩენკოს მემორიალის ავტორია, რომელმაც ამ ნაშრომით სტუდენტთა სამეცნიერო შრომების საკავშირო კონკურსის ლაურეატობა მოიპოვა („სპ. და ცხოვ.“).

ჯობს, ეს წინადადებაც მარტივებად დავშალოთ. გასამართავია პირველი წინადადებაც. უნდა იყოს: პატრიოტი გოგონას — ნაღველა კურჩენკოს — მემორიალის ავტორია თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტი — ნ. ჯორჯაძე. ამ ნაშრომით მან სტუდენტთა სამეცნიერო შრომების საკავშირო კონკურსის ლაურეატობა მოიპოვა.

ჩვენი ახალგაზრდობის, საბჭოთა სტუდენტების ძირითადი მასა იდეურად, მორალურად და ფიზიკურად სრულიად ჯანსაღია, რომელიც ისწრაფვის იქითკენ, რომ მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის უდიდესი რევოლუციის ეპოქაში, როცა ახალი აღმოჩენები ისე სწრაფად ძველდება, რომ ვერც კი ასწრებენ პროგრამებში, სალექციო კურსებსა და სახელმძღვანელოებში დამკვიდრებას, ფეხდაფეხ მიჰყვები ცხოვრებას... („სპ. და ცხოვ.“).

უნდა იყოს: ჩვენი ახალგაზრდობის, საბჭოთა სტუდენტობის ძირითადი მასა იდეურად, მორალურად და ფიზიკურად სრულიად ჯანსაღია. იგი ისწრაფვის იქითკენ, რომ მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის უდიდესი რევოლუციის ეპოქაში... ფეხდაფეხ მიჰყვები ცხოვრებას.

პიუსტონის (აშშ) ვეტერინარ ექიმს ერთ-ერთმა მანდილოსანმა მიაკითხა და აუხსნა, რომ შეშფოთებული იყო მისი (უნდა იყოს თავისი) სათაყვანებელი თუთიყუშის ჯანმრთელობით, რომელიც განუწყვეტლივ ახველებდა („ახ. კომ.“).

ჯობდა დაქვემდებარებულის ნაცვლად გვეხმარა დამოუკიდებელი მარტივი წინადადება: ... თუთიყუშს განუწყვეტლივ ახველებდა.

აქვეა ახალი ტრიბუნები სტუმრებისათვის, რომლებიც გრანიტით არის ნაშენი („კომ.“).

უნდა იყოს: აქვეა გრანიტით ნაშენი ახალი ტრიბუნები სტუმრებისათვის.

მსგავს შეცდომებს ვხვდებით სადაც წევრ-კავშირიან წინადადებებშიც. მაგალითად:

გზის გაჭრაზე შესრულდა 500 ათასზე მეტი კუბომეტრი მიწის სამუშაო, სადაც 80 პროცენტამდე იყო კლდის სამუშაო... („კომ.“).

უნდა იყოს: ... გზის გაჭრაზე შესრულდა 500 ათასზე მეტი კუბომეტრი მიწის სამუშაო. მათ შორის 80 პროცენტამდე იყო კლდის სამუშაო.

2. თუ ორ მარტივ წინადადებას შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირია, მათ აუცილებლად რთულ ქვეწყობილად კრავენ. გამოყენებული კავშირები ხელოვნურ იერს ატარებს, მთლიანად წინადადება კი არაბუნებრივი ხდება. მაგალითად:

უმცროსი ასაკის ბავშვები დიდი გატაცებით მუშაობენ სათამაშოების დამზადებაზე, რისთვისაც ხშირად მიმართავენ რჩევისათვის შრომის ინსტრუქტორს („სკ. და ცხოვ.“).

უნდა იყოს: უმცროსი ასაკის ბავშვები დიდი გატაცებით მუშაობენ სათამაშოების დამზადებაზე. რჩევისათვის ისინი ხშირად მიმართავენ შრომის ინსტრუქტორს.

ზოგიერთი მოქალაქე დაუდევრად ეკიდება ელექტროენერჯის გამოყენებისას ელექტროტექნიკური ნორმების დაცვას, რის გამოც ელექტროგამხურებელი ხელსაწყოების არასწორად ხმარებისა და ელექტროგაყვანილობის მოუწყვლარ იგებლობის შედეგად ხშირად ჩნდება ხანძარი („გამარჯვ.“).

პირველი წინადადების შემდეგ უნდა დაისვას წერტილი. მით უმეტეს, რომ მეორე წინადადებაში გვაქვს თანდებულად ნახმარი

დადებებს, რაც შეუფერებელია გაზეთისათვის. ყველა ქვემოთ მოყვანილი წინადადება მარტივებადაა დასაშლელი.

როგორც ჩანს, აქ დავიწყებითაა საქართველოს კბ ცენტრალური კომიტეტის მოწოდება, სამეურნეო ამოცანების იდეოლოგიური უზრუნველყოფის თაობაზე, რისთვისაც(?) საჭიროა იდეოლოგიური ზეგავლენის ყველა საშუალება მოვახმართ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულების განაღდებას, რომ(?) პოლიტიკურ-ადმინისტრაციული მუშაობა უფრო მჭიდროდ დავუკავშიროთ საწარმოს ცხოვრებას, თითოეული მუშის ყოველდღიურ საბრძოლო ამოცანებს („თბილ.“).

შემდგომში საკითხის ღრმად შესწავლის საფუძველზე და ვაგზლის მოედანზე საზოგადოებრივი ტრანსპორტის ბოლო გაჩერების უფრო რაციონალურად განლაგების, მოედნის გამტარუნარიანობის, ქვეითად მოსიარულეთა და ტრანსპორტის უსაშიშრო მოძრაობის უზრუნველსაყოფად, აგრეთვე იმასთან დაკავშირებით, რომ სადისპეტჩერთა ვიზუალური გადატანის იქნა თვით მოედანზე, გოგოლის ქუჩის ვაკეკეთასთან გაჩერება გაუქმდა, რადგან იგი არ არის მიზანშეწონილი, ვინაიდან მცირე მანძილით არის დაშორებული ამჟამად არსებულ ბოლო გაჩერებასთან („თბილ.“).

ბოლო ხანებში მედიცინაში დადგენილად შეიძლება ჩაითვალოს (ზიგფრიდ ჰაიდენის — აშშ, ჩრდილოეთ კაროლინას შტატი, დიურჰამის დიუკ უნივერსიტეტი, ჰაულ ლერნერის — თსლოს უნივერსიტეტი და სხვათა შედეგებმა ცხადყოვეს ეს), რომ ინფარქტის განვითარებას ხელს უწყობს კვერცხის გული, კარაქი, ყველანაირი ცხიმი, ქონი, ხიზილალა, რძე — ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც ძალიან ვემრიელია, რადგან ამათში ჰარბადაა ქოლესტერინი, ხოლო ქოლესტერინი თავის მხრივ შეიცავს ცხიმოვან მკვებებს — ყოველივე ეს კი იწვევს სისხლძარღვების დაცობას, შეკვრას, გულის კუნთს აკლდება ეანგბადი და ეანგბადის ნაკლებობის შედეგია ინფარქტი („ახ. კომ.“).

აღნიშნული მავნებლების გამოსაზამთრებელი ადგილების ზუსტი ცოდნა საშუალებას გვაძლევს მოვსპოთ ზამთრის პერიოდში მავნებლების მნიშვნელოვანი კერები, რითაც სერიოზულად შევამცირებთ მათ საზაფხულო რაოდენობას, რისთვისაც მიემართავთ პირველ რიგში ბრძოლის აგროტექნიკურ ღონისძიებას, რომელიც ითვალისწინებს... ამსკდარი ქერქის გაწმენდას, ნაპირზე გატანას და დაწვას („ქიათ. მად.“).

უკანასკნელ წინადადებაში, გარდა იმისა, რომ მაქვემდებარებელი კავშირების სიუხვეა, ზმნის პირიანი ფორმები შეცვლილია საწყისებით, რაც კიდევ უფრო ართულებს და აბუნდოვანებს აზრს. შეიძლება ეს წინადადება ასე გასწორდეს:

აღნიშნული მავნებლების გამოსაზამთრებელი ადგილების ზუსტი ცოდნა საშუალებას გვაძლევს მოვსპოთ ზამთრის პერიოდში მავნებლების მნიშვნელოვანი კერები და, ამრიგად, შევამციროთ მავნებლების საზაფხულო რაოდენობა. ამას პირველ რიგში უნდა მი-

ვალწიით აგროტექნიკური ღონისძიებით — გავწმინდოთ ამსკლარი ქერქი, გავაცალკევოთ იგი (გავიტანოთ ნაპირზე) და დავწვათ.

ხშირად დარღვეულია თვით რთული ქვეწყობილი წინადადების კონსტრუქცია. კერძოდ:

1. ა) თუ განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება ჩართულია მთავარში, წევრ-კავშირი რომელიც ბრუნვაში მართულია მთავარი წინადადების ქვემდებარის (მისამართი სიტყვის) მიერ ნაცვლად იმისა, რომ ბრუნვაში იმართოს თავისივე შემასმენლის მიერ, ან, პირიქით, ეწყობა ბრუნვაში მთავარი წინადადების ქვემდებარეს.

მაგალითად:

... სპეკულანტები კი, რომლებიც ღმერთმა იცის, საიდან და რა წყალობით შემოჰქონდათ ეს საათები თბილისში, მამასისხლად ყიდდნენ მას („თბილ.“).

ამ წინადადებაში სხვა უზუსტობებიცაა: ნაცვალსახელით შესაცვლელი წევრი (საათები) მრავლობითშია. ამიტომ უნდა იყოს: ... მამასისხლად ყიდდნენ მათ (და არა მას!) სპეკულანტების ნაცვლად შეიძლებოდა გვეხმარა ქართული გადამყიდველები.

უნდა იყოს: გადამყიდველები კი, რომლებმაც ღმერთმა იცის, საიდან და რა წყალობით შემოჰქონდათ ეს საათები თბილისში, მამასისხლად ყიდდნენ მათ.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ახალგაზრდებმა, რომლებმაც პროფესია შემთხვევით მიიღეს, ხელახლა ირჩევენ პროფესიას, ანდა წარმოებიდან მიდიან („ხ. და ცხოვ.“).

უნდა იყოს: პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ახალგაზრდები, რომლებმაც პროფესია შემთხვევით მიიღეს, ხელახლა ირჩევენ პროფესიას...

... ამავე სურვილით სულდგმულობდა წაღმა მოაზროვნე ბევრი მესხი დიდებული, რომელიც თუმცა გამაჰმადიანებული იყო, სანჯაყბგად, ალიბგად, ფაშად იწოდებოდა, გულში კვლავ სამშობლოს სიყვარულის სანთელი ენთო („განთიადი“).

რომელიც კავშირთან დამოკიდებულ წინადადებას ახლავს თავისი დამოკიდებული — თუმცა გამაჰმადიანებული იყო... (იგი არ არის გამოყოფილი მძიმით). რომელიც კავშირი ამ დამოკიდებულ წინადადების ზმნა-შემასმენლის მიერაა მართული ბრუნვაში და არა თავისი შემასმენლის მიერ.

უნდა იყოს: ამავე სურვილით სულდგმულობდა წალმა მოაზროვნე ბევრი მესხი დიდებული, რომელსაც, თუმცა (იგი) გამაჰმადიანებული იყო, სანჯაყბეგად, ალიბეგად, ფაშად იწოდებოდა, გულში კვლავ სამშობლოს სიყვარულის სანთელი ენთო.

ასეთი დამსგავსება მისამართი სიტყვისა და მიმართებითი ნაცვალსახელისა, რომელიც ატრაქციის ანუ სინტაქსური ასიმილაციის სახელითაა ცნობილი სპეციალურ ლიტერატურაში, გვხვდება ძველქართული ენის ძეგლებში. გვხვდება როგორც „პროგრესული ასიმილაციის“ (როცა მისამართი სიტყვა იმსგავსებს მიმართებით ნაცვალსახელს), ისე „რეგრესული ასიმილაციის“ შემთხვევები (როცა მიმართებითი ნაცვალსახელი იმსგავსებს მისამართ სიტყვას). ამ ფაქტს უძებნიან ფსიქოლოგიურ ახსნას. ვარაუდობენ აგრეთვე, რომ ეს უნდა იყოს ერთ-ერთი დასტური იმისა, რომ ჰიპოტაქსური წყობა გვიანდელია; რომ აქ უნდა იყოს წარმოდგენილი გარდამავალი საფეხური — როცა ერთ დროს მთავარი წინადადების ნაწილი, განსაზღვრების ფუნქციის მქონე რომელიც ნაცვალსახელი იქცეოდა მაქვემდებარებელ წევრ-კავშირად⁸.

თანამედროვე სალიტერატურო ქართულის თვალსაზრისით ასეთი დამსგავსება არასგზით არ შეიძლება. როგორც მისამართი სიტყვა, ისე მიმართებითი ნაცვალსახელი თავისივე (იმავე წინადადების) შემასმენლის მიერ უნდა იმართოს ბრუნვაში⁹.

ბ) მთავარი წინადადების ქვემდებარეს ბრუნვაში მართავს ჩართული დამოკიდებული წინადადების შემასმენელი, ის შემასმენელი, რომელიც ახლო პოზიციაშია:

სახალხო კონტროლის ორგანოებში ახალ არჩეულ კონტროლიორებს, თუ სურთ წარმატებით გაართვან თავი მათზე მინიჭებულ მოვალეობას, ღღენიადაგ უნდა იზრუნონ თავიანთი რიგების სიწმინდისათვის („კომ.“).

ამავე წინადადებაში არ ვარგა გამოთქმა **მინიჭებული მოვალეობა, მოვალეობა** სიტყვასთან განსაზღვრებად ბუნებრივია **დაკისრებული**. მაშასადამე, უნდა გვქონდეს: სახალხო კონტროლის ორგანოებში ახლადარჩეულმა კონტროლიორებმა, თუ სურთ წარმატებით გაართვან თავი მათზე დაკისრებულ მოვალეობას, ღღენიადაგ უნდა იზრუნონ თავიანთი რიგების სიწმინდისათვის.

⁸ ვ. თოფურია, ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი, გვ. 98;

К. Д о н д у а, Из истории придаточного предложения... გვ. 197—198.

⁹ ვ. თოფურია, ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი, გვ. 98.

მათ ვინც თავდადებულად იშრომეს, შედეგსაც საუკეთესოს მოიმკიან („გამარჯვ. დროშა“).

უნდა იყოს: ისინი, ვინც თავდადებულად იშრომა, შედეგსაც საუკეთესოს მოიმკიან.

ამ სკოლების მუშაობამ დაგვანახვა, რომ ის, ვინც დაბეჯითებით ეუფლება პოლიტიკური ცოდნის საფუძვლებს, მას გამოუმუშავდა საუკეთესო თვისებები („საქ. ავტ.“).

უხერხულობის მოსახსნელად უხმარიათ ზედმეტი ნაცვალსახელი (ორივე ზმნა-შემასმენელს — მთავარი და დამოკიდებული წინადადებების შემასმენლებს — შეუწყვეს თავ-თავისი ნაცვალსახელი). უნდა იყოს: ... მახ, ვინც დაბეჯითებით ეუფლება პოლიტიკური ცოდნის საფუძვლებს, გამოუმუშავდა საუკეთესო თვისებები.

2. მთავარი წინადადება არასწორად არის გათიშული და მასში ჩართულია განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება, რომელსაც უშუალოდ მისამართი წევრი არ მოეპოვება:

... უკეთესად რომ იქნეს დაცული ვენახებში ჯიშური სიწმინდე, მიზანშეწონილია კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მოაწყონ მცირე ზომის (რაც დააკმაყოფილებს მათ მოთხოვნას) საძირე ლერწისა და სანამყენეს სადედეები („ახ. ცხოვრ.“).

... თუ წარმოვიდგინოთ ბურჟუაზიული საზოგადოების კლასობრივი დაპირისპირების სურათს, ჩვენთვის ცხადი გახდება, ერთი მხრით, მშრომელთა ბავშვების გონებრივი განვითარების შეფერხების მიზეზები და, მეორე მხრივ, მდიდარ მებატრონეთა ბავშვების გონებრივი განვითარების ნორმალური მიმდინარეობის, რაც სტატისტიკურადაა დადგენილი, მიზეზები („სკ. და ცხოვ.“).

3. მთავარში ზედმეტია მისათითებელი ნაცვალსახელი:

უნდა იგრძნობოდეს მისწრაფება იმისკენ, რომ ახალგაზრდებს მხარს უჭერენ... („ახ. გან.“).

ზედმეტია სიტყვა მისწრაფებაც. დამოკიდებული წინადადება უშუალოდ შემასმენელს უნდა მიემართებოდეს: უნდა იგრძნობოდეს, რომ ახალგაზრდებს მხარს უჭერენ...

სრული გარანტია არსებობს იმისათვის, რომ გადაჭარბებით შესრულდეს თივის დაგროვების დავალება („ახ. ცხოვრ.“).

უნდა იყოს: არსებობს სრული გარანტია, რომ თივის დაგროვების დავალება გადაჭარბებით შესრულდება.

გარანტია ნიშნავს **საწინდარს**. არსებობს საწინდარი, რომ და-
ვალება **შესრულდება** — თბრობითი კილოს ზმნა-შემასმენელს თბო-
ულობს. კავშირებითი კილო (**შესრულდეს**) მას არ შეეფერება...

იმის გამო, რომ სასტუმრო „საქართველოში“ წლების განმავლობაში გა-
მეფებული იყო უკონტროლობის ატმოსფერო, სათანადო ყურადღება არ ექ-
ცეოდა სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვას, ამან ხელი შე-
უწყო სხვადასხვა დარღვევისა და დანაშაულის აღმოცენებას („თბილ.“).

წინადადების წყობა იმდენად დარღვეულია, რომ ძნელი გასარ-
კვევია, რომელია მთავარი წინადადება და რომელი დამოკიდებუ-
ლი. შეიძლებაოდა ასე გვეთქვა: იმის გამო, რომ სასტუმრო „საქარ-
თველოში“ წლების განმავლობაში გამეფებული იყო უკონტროლო-
ბის ატმოსფერო, სათანადო ყურადღება არ ექცეოდა სასაქონლო-
მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვას, **აღმოცენდა სხვადასხვა**
დანაშაული (დარღვევის აღმოცენება არასწორი გამოთქმავა), ან შერ-
წყმულ წინადადებად: სასტუმრო „საქართველოში წლების განმავ-
ლობაში გამეფებულმა უკონტროლობის ატმოსფერომ, სასაქონლო-
მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვის მიმართ უყურადღებობამ

ხელი შეუწყო სხვადასხვა (სახის) დანაშაულის აღმოცენებას.

4. ერთმანეთის მიმართ თანწყობილი (მთავრისათვის — ერთ-
გვარი) დამოკიდებული წინადადებები შესაფერისად არ არიან და-
კავშირებული მთავართან. (უფრო სწორად, ერთ-ერთ დამოკიდე-
ბულში ზედმეტია მაქვემდებარებელი კავშირი):

ერთი ათჯერ მაინც უთხრა ამ დღეებში მამამ ვეიშვილს, დეპეტრესათვის-
შური რომ ვიძიეთ, თურმე საკმარისი არ ყოფილა, რომ გადარჩენილები მოვა-
ლენი ვართ ომში დაღუპულებიც შევცვალოთ („კომ.“).

რომ კავშირის ნაცვლად უნდა გვეხმარა მაჯგუფებელი და.

თუ ის იცის, რომ მასწავლებელს 27 გაკვეთილი უნდა ჰქონდეს, ნუთუ იმას
ველარ ამჩნევს, რომ მის თანასოფლელ ჭაბუკ მასწავლებელს მხოლოდ 5 გაკვე-
თილი აქვს და რომლის ხელფასი თვეში დაახლოებით 30 მანეთია? („სახ-
გან.“).

უნდა იყოს: ... და მისი ხელფასი თვეში დაახლოებით 30 მა-
ნეთია.

5. დამოკიდებულ წინადადებაში მთავარი წინადადების ესა თუ
ის წევრი (ქვემდ. ან დამატ.) შეცვლილია ნაცვალსახელით ისე, რომ
ძნელი გასაგებია, რომელ წევრს ცვლის ეს ნაცვალსახელი, დაბინ-
დულია წინადადების შინაარსი.

მაგალითად:

კალათბურთელები იშვიათად ესვრიან კალათში შორი და საშუალო დისტანციებიდან. იშვიათად ესვრიან იმიტომ, რომ უშეცდომოდ ვერ ფლობენ მას. (რას?!), („ლელო“).

... პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებში დაიწყო შემაჯამებელი მეცადინეობები. ახლა მათზეა დამოკიდებული — როგორი მაქსიმალური ეფექტიანობით ჩატარდება იგი („ახ. ცხოვრ.“).

აქ მთავარი წინადადების დამატებაც (ის წევრი, რომელზედაცაა საუბარი) ნაცვალსახელითაა გამოხატული. იგი ცვლის თითქმის წინა წინადადების ქვემდებარეს, თუმცა, ესეც ძნელი გასაგებია, რა სურს ავტორს, რომ თქვას, — შემაჯამებელ მეცადინეობებზეა დამოკიდებული, თუ — ორგანიზაციებზე? მით უფრო გაუგებარია, რა უნდა ჩატარდეს „მაქსიმალური ეფექტიანობით“...

... ხორბლის მოსავალს კარგი პირი უჩანს, რაც იმან განაპირობა, რომ მასში დროულად იქნა შეტანილი მინერალური სასუქები... („ახ. ცხოვრ.“).

რაში იქნა დროულად შეტანილი მინერალური სასუქები? ხორბლის მოსავალში?

ჩილეს პრეზიდენტის მეუღლემ ბევრი ვერაფერი თქვა, სალვადორ ალიენდეს უკანასკნელ საათებში მოწყვეტილი იყო მას („კომ.“).

უმჯობესი იყო, ნაცვალსახელით შეგვეცვალა ქვემდებარე, ასე: ჩილეს პრეზიდენტის მეუღლემ ბევრი ვერაფერი თქვა, უკანასკნელ საათებში იგი მოწყვეტილი იყო სალვადორეს.

რაიონის სკოლებში ბევრია დაწყებითი კლასების მოწინავე მასწავლებელი, რომელიც ამ საგნის სწავლებასთან ერთად ბავშვებს გადასცემს იმ სულიერ სიმდიდრეს, რაც ჩვენს ერს მასში ფასდაუდებელ განძად შემოუნახავს მომავალი თაობისათვის („განთ.“; ვანი).

გამოდის, რომ მასწავლებელში შემოუნახავს განძად ერს თავისი სიმდიდრე. აღნიშნული ნაცვალსახელი სრულიად ზედმეტია...

არაზუსტად იცვლება ნაცვალსახელით თანწყობილი წინადადების საერთო წევრიც. მაგალითად:

რომ იტყვიან, სიმინდები ავ თვალს არ დაენახვება. თითო ძირზე 2-3 ტაროა. ვნახეთ მესიმინდე არჩილ სამუშიას ფართობი. მას ერთი ჰექტარი აქვს მიმაგრებული („კომ.“).

გამოდის, რომ ფართობს აქვს მიმაგრებული ერთი ჰექტარი! ჯობდა, ან გამეორებულიყო წევრი (სამუშაის ერთი ჰექტარი აქვს მიმაგრებული), ან შეცვლილიყო სხვა არსებითით, მაგალითად, ასე: ... ვნახეთ არჩილ სამუშაის ფართობი. ამ მესამინდეს ერთი ჰექტარი აქვს მიმაგრებული. ან: ... ვნახეთ მესამინდე არჩილ სამუშაის ფართობი. არჩილს ერთი ჰექტარი აქვს მიმაგრებული...

ყველაფერს თავისი საიდუმლო აქვს. ხალხის სიყვარულს კი ყველაზე დიდი დაფარული საიდუმლო: მას უყვარს დიდი და ნათელი გულები, სულიერი სიმადლე და კეთილი გონიერება... („ახ. კომ.“).

რას ან ვის უყვარს?!

6. ზოგჯერ რთული წინადადების არასწორ კონსტრუქციებს იწვევს ცუდი თარგმანი. სტატიას სიტყვისიტყვივით თარგმნიან დედნიდან და ანგარიშს აღარ უწევენ ქართული წინადადების ბუნებას. მაგალითად:

იმის მსგავსად, თუ როგორ შეუძლია თანამედროვე კინოკამერამ ჩახედოს სამყაროს უკიდვანო სივრცეებსა და მიკროსამყაროს საიდუმლოებებს, მას შესაძლებლობა აქვს ჩასწვდეს ადამიანის სულის სიღრმეებსაც, ურთულეს სოციალურ პროცესებსაც, რომლებიც სამყაროში მიმდინარეობს („კომ.“).

უმჯობესია ასე: თანამედროვე კინოკამერას შეუძლია ჩასწვდეს არა მარტო სამყაროს უკიდვანო სივრცეებსა და მიკროსამყაროს საიდუმლოებებს, არამედ ადამიანის სულის სიღრმეებსა და იმ ურთულეს სოციალურ პროცესებსაც, რომლებიც სამყაროში მიმდინარეობს.

დავადება ჩვეულებრივ იწყებოდა წითელას განვითარებულ დახურულ (ინკუბაციურ) პერიოდში მყოფი და აქ დავადაებული ადამიანის ჩამოსვლასთან დაკავშირებით („თბილ.“).

ამ წინადადებიდან აზრის გამოტანა ჭირს.

1970 წელს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გამოცემული სახელმძღვანელო... ცდილობს ახალგაზრდობა დაარწმუნოს იმაში, რომ... კ. მარქსი თავის დროზე ძალიან ბევრს სწორად ხედავდა. ეს ყველაზე მეტად მუშათა იმდროინდელ მდგომარეობას ეხება, როცა იგი ცხოვრობდა... („სკ. და ცხოვ.“).

შეიძლება: ... კ. მარქსი თავის დროზე ბევრ რამეს სწორად ხედავდა (კარგად ამჩნევდა, მართებულად საზღვრავდა), განსაკუთრებით კი, მუშათა იმდროინდელ მდგომარეობას (ყოფას).

არაქართული კონსტრუქციები წინადადებისა, სხვა ენათა სინტაქსის გავლენა მართო თარგმნილ სტატიებში როდი შეიმჩნევა.

მოვიყვანთ ნიმუშად რამდენიმე წინადადებას:

... ვამჩნევდი, რომ იგი (მოსწავლე) მასწავლებელს ასეთი მიმართვის შემდეგ აღარ უსმენდა. იჭდა თავისთვის მძიმე, უსიამოვნო მდგომარეობაში („სკ. და ცხოვ.“).

ფილმი მოგვითხრობს დიდი სამამულო ომის ყოფილ ფრონტელებზე, რომლებიც დასაქმებული არიან სახალხო მეურნეობის აღდგენაზე („თბილ.“).

უნდა იყოს: ფილმი მოგვითხრობს დიდი სამამულო ომის ყოფილ ფრონტელებზე, რომლებიც სახალხო მეურნეობის აღსადგენად შრომობენ.

... ხელმძღვანელობის წინაშე დააყენეს საკითხი დამნაშავეთა მიმართ ზომების მიღებისათვის („თბილ.“).

... ამ საკითხს სათანადო აღვიღზე უნდა დააყენებო... („ახ. ცხოვრ.“).

ქართულში გაქვავებულ სინტაგმად იქცა: „საკითხის დასმა“; „დასვეს საკითხი“ (და არა — დააყენეს საკითხი!).

აღნიშნული მოთხრობის... გაგების შემოწმება შემდეგნაირად ჩავატარე... („უე სკოლაში“).

ჯობდა ასე: შემდეგნაირად შევამოწმე, თუ როგორ გაიგეს აღნიშნული მოთხრობა...

გვხვდება უზუსტობანი რთული თანწყობილი წინადადების გამოყენების დროსაც, როცა:

1. ა) წინადადებებს მხოლოდ კავშირები აქცევენ რთულად. სემანტიკურად კი ისინი შედარებით დაშორებულნი არიან ერთმანეთისაგან; დამოუკიდებელნი არიან:

მასალის განზოგადებაც მ. მერაბიშვილს დაევალა და ვრცელი ანგარიში დაეგზავნა ჩვენი მოძმე ქვეყნების დაინტერესებულ ორგანიზაციებს („კომ.“).

ფსტრიაში უჩვეულოდ თოვდა და ამოვარდა ქარბუქი („კომ.“).

ბ) პირიქით: წინადადებები მოითხოვენ თანწყობას (ვთქვათ, მაპირისპირებელ კავშირს), მოწყვეტილი კი არიან ერთმანეთისაგან:

საკმარისია ცოტაოდენი თერმული ან მექანიკური დარღვევა, რომ წუნი არ აგდდება. ბ. დარახველიძე უწუნოდ მუშაობს („ახ. კომ.“).

ჯობდა: ... ბ. დარახველიძე კი უწუნოდ მუშაობს. წუნი არ აგცდებდა-ს ნაცვლად ჯობდა: წუნს ვერ ასცდები...

2. წინადადებებს არ მოეპოვება საერთო წევრი (ან იგი გამოტოვებულია). ამიტომ მეორე წინადადება უსრულია და გაუგებარიც:

... ამ საპატიო ამოცანების განაღდება ბეჯით, დაძაბულ შრომას მოითხოვს და უსათუოდ უნდა შესრულდეს („ახ. ცხოვრ.“).

(რა უნდა შესრულდეს?)

(ამავე წინადადებაში არ ვარგა გამოთქმა ამოცანების განაღდება)¹⁰.

ნათესების განწმობა... საყვების წარმოების გადიდების დიდი რეზერვია, მაგრამ... ყოველი სეზონი როდი იძლევა შესაძლებლობას („ახ. ცხოვრ.“).

(რის შესაძლებლობას?)

კოლმეურნეობების თავაკები მართო მოწოდებებით კმაყოფილებიან, პრაქტიკულად კი არასახარბიელო შედეგია(!) („ახ. ცხოვრ.“).

მას თამბაქოს მოსავლის მიღების დიდი გამოცდილება აქვს და თავისი მუშაობის პრაქტიკაში აგროწესებთან ერთად ზედმიწევნით იყენებს („გამარჯვ. დროშა“).

საერთო წევრი გამოცდილება (დამატება) იმდენად დაშორებულია მეორე წინადადების შემასმენელს, რომ გამეორებას საჭიროებს. მაშ, ჯობდა თქმულიყო: ... თავისი მუშაობის პრაქტიკაში აგროწესებთან ერთად ზედმიწევნით იყენებს ამ გამოცდილებას.

ხანში შესვლისას მალეგზორისი დისკოები კარგავენ ელასტურობას, მათში მცირდება ტენის შემცველობა და მონაცვლეობენ, რაც იწვევს ნერვების დაზოგვის დაწვევას („ახ. ცხოვრ.“).

მეორე წინადადებაში ქვემდებარე (დისკოები) ან უნდა განმეორებულიყო, ან შეცვლილიყო ნაცვალსახელით (ეს დისკოები მონაცვლეობს ან ისინი მონაცვლეობენ).

... მიუთითებს, რომ ამ ნაწარმოებში ჩანს მწერლის არაჩვეულებრივი ტალანტი, შთაგონებულია მაღალი პატრიოტიზმით („ლიტ. საქ.“).

¹⁰ განაღდება სიტყვის შეუფერებელ კონტექსტებში ხმარების შესახებ იხ. ბ. ფოჩხუა, კონტექსტი და მნიშვნელობა, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, 1, თბ., 1972, გვ. 32—33.

რა არის შთავონებული: ტალანტი, მწერალი, თუ ნაწარმოები?

3. არ არის შერჩეული შესაფერისი კავშირი, მაგალითად:

... მათ ყველა დონე უნდა იხმარონ სახელმწიფოს გეგმების შესასრულებლად. გეგმა კი კანონია („ახ. ცხოვრ.“).

კი-ს ნაცვლად ჯობდა ხომ ნაწილაკი გვეხმარა, იგი უკეთ გამოხატავდა წინადადების აზრს.

სქესობრივი აღზრდა კი ბავშვის დაბადებიდანვე იწყება, მაგრამ ასაკის მიხედვით იგი განსხვავებულ ამოცანებს გულისხმობს („სოფლ. ცხოვრ.“).

კი ან ზედმეტია, ან მას ადგილი უნდა შეეცვალოს (უშუალოდ შემასმენელს უნდა უსწრებდეს წინ). წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარია, მეორე წინადადება რატომაა მაპირისპირებული კავშირით შეერთებული პირველთან...

ზანაპირობიანი სიტყვა-ბაგოთხმების გამოყენებასთან
დაკავშირებული ზოგი საკითხი

ყურადღებას იქცევს შეცდომები დანართის გამოყენებისას:

1. როგორც კავშირიანი დანართი იმ წევრზე კი არ გვაძლევს დამატებით ცნობას, რომელსაც დაერთვის, არამედ მას ახალი წევრი შემოჰყავს წინადადებაში:

სერიოზული ყურადღება უნდა დაეთმოს... სარწყავ წყალს, როგორც მოსავლიანობის გადიდების დიდ რეზერვის გამოყენებას („გამარჯვდროშა“).

უნდა იყოს: სერიოზული ყურადღება უნდა დაეთმოს... სარწყავ წყალს, როგორც მოსავლიანობის გადიდების დიდ რეზერვს.

ან ასე: სერიოზული ყურადღება უნდა დაეთმოს... სარწყავი წყლის, როგორც მოსავლიანობის გადიდების დიდ რეზერვის [სწორ] გამოყენებას.

მსგავს შეცდომას ვხვდებით როგორც კავშირიან განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებაშიც:

პოზიციები დათმეს ისეთმა ძლიერმა ქვეყნებმა თავისუფალ კილაობაში, როგორც ირანის, თურქეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების გუნდები არიან („თბილ.“).

უნდა იყოს: პოზიციები დათმეს ისეთმა ძლიერმა ქვეყნებმა თავისუფალ ჭიდაობაში, როგორც არიან ირანი, თურქეთი და ამერიკის შეერთებული შტატები.

2. როგორც კავშირიანი დანართი უშუალოდ არ მოსდევს ასახნელ სიტყვას. დარღვეულია სიტყვათა რიგი.

ლ. ქიაჩელმა ძალიან კარგად იცოდა, როგორც სისხლსავსე ტიპებისა და სახეების მძერწავმა, რომ მხატვრულ შემოქმედებაში იდეურობა ოსტატობის გარეშე გაუნაღებელი თამაშქია („ხაქ. ავით.“).

უნდა იყოს: **ლ. ქიაჩელმა, როგორც სისხლსავსე ტიპებისა და სახეების მძერწავმა**, ძალიან კარგად იცოდა...

3. ფრჩხილებში მოთავსებული დანართი დაშორებულია ასახნელ-დასაზუსტებელ წევრს ფორმოზრევიდაც და შინაარსობრივად. იგი ცალკე დგას წინადადების სხვა ნაწილებისაგანაც.

პირველი ადგილი ხვდა... თ. ესართიას, მეორე ადგილი მოიპოვა ი. სიფრაშვილმა, მესამეზეა თ. მორჩილაძე (ყველა თბილისი) („თბილ.“).

უნდა იყოს: ... ყველა (ან სამივე) **თბილისის გუნდის წარმომადგენელია**. ან: **ყველა თბილისელია**.

ასეთი წყობის წინადადებები უმეტესად გვხვდება სპორტულ თემაზე დაწერილ სტატიებში. რამდენადაც ეს სტატიები (რეპორტაჟები) უნდა გამოირჩეოდნენ სისხარტით, ლაკონიურობით, ზოგი წინადადება დაყვანილია ორწევრიან შესიტყვებად და წინა წინადადების დანართადაა ქცეული. მაგრამ მაშინ ეს დანართი ფორმით უნდა დავუქვემდებაროთ (შევუხამოთ) წინა წინადადებას, კერძოდ, ზმნა-შემასმენელს. მაგალითად:

მცირეკალიბრიანი შაშხანიდან 50 მეტრზე წოლელა მდგომარეობიდან (60 გასროლა) გაიმარჯვა არმიელმა სპორტის ოსტატმა ა. მარუტიანმა... („თბილ.“).

უნდა იყოს: მცირეკალიბრიანი შაშხანიდან 50 მეტრზე წოლელა მდგომარეობიდან **(60 გასროლაში)** გაიმარჯვა არმიელმა სპორტის ოსტატმა **ა. მარუტიანმა**.

IV ტურის სენსაცია იყო ოსტატ (წყალში ხტომაში) ვ. ინწკირველის გამარჯვება ჩემპიონობის ერთ-ერთ სერიოზულ პრეტენდენტთან თ. ბარამიძესთან პარტიაში („ლელო“).

ამ წინადადებაში ორი არასწორად ნახმარი დანართი გვაქვს: ერთია ხელოვნურად შექმნილი — **წყალში ხტომაში**. მას ადგილი უნდა

შენაცვლოს და წინადადების ჩვეულებრივ წევრად იქცეს (სამაგიეროდ, ვ. ინწკირველი იქცევა დანართად), მეორე — თ. ბარამიდესთან — პუნქტუაციურად არ არის გამოყოფილი. მაშ, წინადადება ასე უნდა გაიმართოს:

IV ტურის სენსაცია იყო წყალში ხტომაში ისტატის — ვ. ინწკირველის — გამარჯვება ჩემპიონობის ერთ-ერთ სერიოზულ პრეტენდენტთან — თ. ბარამიდესთან.

(ეფიქრობთ, წყალში ხტომაში შეჯიბრის აღმნიშვნელად არ გამოდგება პარტია სიტყვა).

დანართად ქცეული ასეთი წევრები (თუ წინადადებები) ზოგჯერ არც არის გამოყოფილი პუნქტუაციურად და უფრო აბუნდოვანებს აზრს. მაგალითად:

პანტომიმის თეატრი აცხადებს კონკურსს ვაკანტურ ადგილებზე 2 გოგონა და 2 ვაჟი („თბილ.“).

4. დანართი (კავშირიანცა და უკავშიროც) არ არის გამოყოფილი მძიმეებით წინადადების სხვა წევრებისაგან:

მე როგორც XXXV საქალაქო პარტიული კონფერენციის დელეგატი კვლავაც უდიდეს ყურადღებას დაუთმობ სოციალისტურ შეჯიბრებას... („თბილ.“).

სსრ კავშირის ჩემპიონს, ბათუმის დინამოს საზეიმო ვითარებაში გადაეცა ოქროს მედლები და საპატიო თასი... („თბილ.“).

... და მე-2 სასამართლოს ხელმძღვანელობას, განსაკუთრებით მ. ჯაშსეს კარგად უნდა მოეხსენებოდეს („სახ. გან.“).

საზგასმული შესიტყვებები ორივე მხრიდან გამოყოფილი უნდა იყოს მძიმეებით.

პუნქტუაცია დარღვეულია სხვა განკერძოებული სიტყვებისა და გამოთქმების გამოყენების დროსაც: ა) არ არის გამოყოფილი სხვა წევრებისაგან განკერძოებული დროისა და ადგილის გარემოებები:

შარშან დეკემბრის უკანასკნელ რიცხვებში ტუაფსეში სსრ კავშირის თასის გათამაშება მოეწყო („თბილ.“).

ახლა ღია და მარინე ეშაძეებთან მოსკოვის ღია პირველობისათვის, რომელიც ნოემბერში გაიმართება. შემდეგ კი 1975 წლის დამდეგს კიევში გამოვლენ სსრ კავშირის ჩემპიონატზე („თბილ.“).

აქ, გორგასლის ქუჩის № 75 სახლში მოთავსებულია რესპუბლიკის ნორჩ ნატურალისტთა სადგური („თბილ.“).

ამას წინათ ბაღში მოსწავლეები კუკუმალობანას თამაშობდნენ, ერთი მათგანი, თანატოლებს რომ დამალოდა, ხეს ამოეფარა, შემდეგ კი ქუჩას მეორე მხარეს გზის სამოძრაო ნაწილზე გადახტა („თბილ.“).

ბ) ჩართული:

დასასრულ გთხოვთ აბიტურიენტებსაც და მათს მშობლებსაც გადასცეთ ჩვენი მტკიცე გადაწყვეტილება — მისაღები გამოცდები შემდგომშიც უარესად ობიექტურად წარიმართება... („თბილ.“).

ამასთან კაბინეტებში ლაბორანტებად შემთხვევითი ხალხია გაფორმებული („თბილ.“).

(იხილეთ აგრეთვე ზემოთ განხილული განკერძოებული განსაზღვრებანი).

ასეთია წინადადების აგების თვალსაზრისით ტიპობრივი ხასიათის დარღვევები; ასეთი დარღვევები თანაბრად გვხვდება როგორც ცენტრალური, ისე რაიონული პრესის ენაში.